01.04.2024წ.

განმარტებითი ბარათი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბრის N29 დადგენილებაში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

**I.** წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებების პროექტში იცვლება შემოსულობების და გადასახდელების მოცულობები. ცვლილება გამოწვეულია „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებით მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფით, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N 2400 განკარგულებით „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფით, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის N 43 განკარგულებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფით (სამგზავრო ავტობუსების შეძენა) და წლის დასაწყისისთვის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის ორგანიზაციულ კოდებს შორის გადანაწილებით:

**II.** იზრდება შემოსულობები 5 286 816 ლარით და ხდება 34 525 356 ლარი. მათ შორის:

**1.** იზრდება გრანტები 5 286 816 ლარით და ხდება 12 606 456 ლარი.

**III.** მიმდინარე პერიოდის ნაშთის ცვლილება განისაზღვრა - 8 211 458 ლარის ოდენობით.

**IV.** იზრდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები 5 580 156 ლარით და ხდება 42 736 814 ლარი. მათ შორის:

1. ინფრასტრუქტურის განვითარების დაფინანსება განისაზღვროს 21 922 766 ლარით.
2. დასუფთავებისა და გარემოს დაცვის დაფინანსება განისაზღვროს 2 105 700 ლარით.
3. განათლების დაფინანსება განისაზღვროს 5 521 215 ლარით.
4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის დაფინანსება განისაზღროს 2 717 500 ლარით.
5. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსება განისაზღვროს 5 260 576 ლარით.

აღნიშნული ცვლილებით, ბიუჯეტის გეგმაში შესატანი, განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართში.

**V.** შემოთავაზებული ცვლილებების პროექტით ცვლილებები უნდა შევიდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბრის N29 დადგენილებაში „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

**VI.** ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის დამტკიცების ოპტიმალურ ვადად მიჩნეულია 2024 წლის აპრილის თვის პირველი დეკადა.

**VII.** ბიუჯეტის ცვლილებების პროექტს წარადგენს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი და საფინანსო სამსახურის უფროსი.

საფინანსო სამსახურის უფროსი: /გიორგი მანგოშვილი/

დანართი

| N | ნორმატიული აქტი | დასახელება | მთლიანი ღირებულება | სახელმწიფო ბიუჯეტი | ადგილებრივი ბიუჯეტი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | N43 | ავტობუსების შესყიდვა | 412200 | 412200 | -412200 |
| 2 | N2402 | სოფელ ბაღდადში გზისა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია | 1500000 | 1425000 | 75000 |
| 3 | N2402 | სოფელ არეშფერანში (კაკლიანის დასახლებაში) გზისა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია | 1168875 | 1110431 | 58444 |
| 4 | N2402 | ჭაბუკიანი - ქვემო ნაშოვრის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია | 156300 | 148485 | 7815 |
| 5 | N2402 | სოფელ ფოდაანში ძველ სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია | 198540 | 188613 | 9927 |
| 6 | N2402 | სოფელ ქვემო ნაშოვარში გზის რეაბილიტაცია | 321530 | 305453 | 16077 |
| 7 | N2400 | სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები | 1630000 | 1630000 | |
| 8 | | ზაქათლის ქუჩაზე ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობა/რეაბილიტაცია | 6551 | | 6551 |
| 9 | | უფასო კვება | 16300 | | 16300 |
| 10 | | სოფ.კაბალში გზის მოხრეშვა | 57157 | | 57157 |
| 11 | | სოფ. კართუბანში ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობა | 115034 | | 115034 |
| 12 | | სოფელ შრომაში ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობა | 115768 | | 115768 |
| 13 | | სოფ. თამარიანში ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობა | 115860 | | 115860 |
| 14 | | სოფელ ბალთაში ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მოწყობა | 115768 | | 115768 |
| 15 | | სოფ.კაბალში სტადიონის მოწყობა | 114102 | | 114102 |